საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N1150 2024 წლის 15 აგვისტო ქ. თბილისი

შპს „ბლექ სი არენა ჯორჯიასა“ და შპს „თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის მართვის უფლებით, პირდაპირი გადაცემის ფორმით საქართველოს მთავრობისათვის გადაცემისა და „შპს „ბლექ სი არენა ჯორჯიასა“ და შპს „თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის“ შერწყმისა და აღნიშნულის შედეგად შექმნილი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის მართვის უფლებით, პირდაპირი გადაცემის ფორმით საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსათვის გადაცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 26 იანვრის №144 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შპს „ბლექ სი არენა ჯორჯიასა“ (ს/ნ: 405158804) და შპს „თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის“ (ს/ნ: 203836625) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილი მართვის უფლებით, უსასყიდლოდ, პირდაპირი გადაცემის ფორმით გადმოეცეს საქართველოს მთავრობას, მათი არსებობის ვადით, ხოლო აღნიშნულ საწარმოთა მართვასთან

დაკავშირებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „შპს „ბლექ სი არენა ჯორჯიასა“ და შპს „თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის“ შერწყმისა და აღნიშნულის შედეგად შექმნილი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის მართვის უფლებით, პირდაპირი გადაცემის ფორმით საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსათვის გადაცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 26 იანვრის №144 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 65-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს „ბლექ სი არენა ჯორჯიასა“ (ს/ნ: 405158804) და შპს „თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის“ (ს/ნ: 203836625) გაერთიანების გზით შერწყმის მიზნით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სათანადო ღონისძიებების განხორციელება.“;

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საწარმოს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილი მართვის უფლებით, უსასყიდლოდ, პირდაპირი გადაცემის ფორმით, მისი არსებობის ვადით გადმოეცეს საქართველოს მთავრობას, ხოლო საწარმოს მართვასთან დაკავშირებული ორგანიზაციულ-

სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ.";

გ) მე-4 და მე-5 პუნქტები ამოღებულ იქნეს;

დ) მე-6 და მე-7 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. განკარგულება, გარდა მე-3 პუნქტისა, ძალაშია ხელმოწერისთანავე.

7. ამ განკარგულების მე-3 პუნქტი ძალაშია შპს „ბლექ სი არენა ჯორჯიასა" (ს/ნ: 405158804) და შპს „თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის" (ს/ნ: 203836625) გაერთიანების გზით შერწყმისა და გაერთიანებული სამეწარმეო საზოგადოების კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრაციისთანავე.".

3. „შპს „თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის მართვის უფლებით, პირდაპირი გადაცემის ფორმით საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსათვის გადაცემის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 27 მაისის №934 განკარგულებისა და „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბლექ სი არენა ჯორჯიას" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის მართვის უფლებით, პირდაპირი გადაცემის ფორმით, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსათვის გადაცემის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 16 მაისის №854 განკარგულების საფუძველზე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს შორის დადებული შესაბამისი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მართვის უფლება შეწყდეს, ამ განკარგულების პირველი პუნქტის საფუძველზე, საქართველოს

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოს მთავრობას შორის შესაბამისი ხელშეკრულების დადებისთანავე.

4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრომ და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ უზრუნველყონ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**